ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა

„მთაწმინდა რეზიდენსი“

(ს/ნ 205333469)

გადაწყვეტილება

(მშენებლობის ვადის გაგრძელების შესახებ)

17 თებერვალი 2021 წელი ქ. თბილისი

2020 წლის 11 მარტს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიად გამოცხადების შემდეგ, ,,საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის N 1 ბრძანების საფუძველზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 2020 წლის 21 მარტიდან - 2020 წლის 21 აპრილამდე საგანგებო მდგომარეობა იყო გამოცხადებული.

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N 322 დადგენილებით (შესაბამისი ცვლილებებით) გათვალისწინებული შეზღუდვების საფუძველზე, კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების პრევენციისთვის, ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის შემცირებისა და ეპიდემიოლოგიური სიტუაციის სამართავად, საქართველოს მთავრობის, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების გათვალისწინებით, შპს ,,მკ დეველოპმენტმა", როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სამშენებლო ობიექტზე (მის: ქ. თბილისი 8 მარტის ქ. N 38 / 8 მარტის ქ. N 28 / ზალდასტანიშვილის ქ. N 26 / 8 მარტის ქ. N 38-ის მიმდებარედ, საკადასტრო კოდი: N 01.15.05.004.092) აღნიშნული შეზღუდვების გათვალისწინებით განეხორციელებინა მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები, რამაც გამოიწვია მშენებლობის გეგმა-გრაფიკთან ჩამორჩენა.

Scanned by TapScanner

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N210125854
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	17.02.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი ია ყიფიანი	ია ყიფიანი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი # 68
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	570506164
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	45208796773221

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ოცდაერთი წლის ჩვიდმეტ თებერვალს, მე ნოტარიუსს - ია ყიფიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი # 68-ში, მომმართა:

ბატონმა **მიხეილ კუჭავამ** (დაბ. 19.05.1970 წელს, პირადი # 01010008127);

წარმოადგინა მის მიერ შედგენილი და ტექნიკურად გამართული ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „მთაწმინდა რეზიდენსი“-ს (ს/ნ 205333469) 17.02.2021 წლის გადაწყვეტილება მშენებლობის ვადის გაგრძელების შესახებ (2 ეგზ., თითოეული 2 გვ.) და მისი სურვილია აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება სანოტარო წესით.

წარმოდგენილის პირადობა დადგენილია წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

გადაწყვეტილების ხელმომწერმა ხელი მოაწერა ჩემი - ნოტარიუსის თანდასწრებით.

მე, ნოტარიუსმა ია ყიფიანმა ხელმომწერს განვუმარტე, რომ ვადასტურებ აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე მისი ხელმოწერის სინამდვილეს და პასუხს არ ვაგებ გადაწყვეტილების შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე.

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29.12 # 507 დადგენილების 31.3 - მუხლის საფუძველზე - 8.00 ლარი, მუხლი - 39-ის საფუძველზე - 2 ლარი - ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის და დღგ - 1.44 ლარი, საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად. სულ - 11.44 ლარი.

ნოტარიუსი

საქართველო ნოტარიუსი ია ყიფიანი GEORGIA NOTARY IA KIPIANI ГРУЗИЯ НОТАРИУС ИА КИПИАНИ *01008020803*

ია ყიფიანი

Scanned by TapScanner